საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/254

ქ. ბათუმი 27 ოქტომბერი, 2022 წ

2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ერაზმუს"+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ევროპის პარტნიორ მიმღებ უნივერსიტეტებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს აკადემიური პერსონალის გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილებისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, ბსუ-ს ერაზმუს+ კოორდინატორის, ნანა ყურშუბაძის 2022 წლის 24 ოქტომბრის N1344186 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ერაზმუს"+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ევროპის პარტნიორ მიმღებ უნივერსიტეტებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს აკადემიური პერსონალის გამოვლენის მიზნით განისაზღვროს შემდეგი ვადები:
   ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული საკონკურსო (აუცილებელია, კონკურსანტმა წარმოადგინოს ინგლისურ ენის - მინიმუმ B2 დამადასტურებელი საბუთი) **დოკუმენტაციის წარმოდგენა** - 2022 წლის **27 ოქტომბრიდან 11 ნოემბრის** 15:00 საათამდე - ელექტრონულ პლათფორმაზე - https://registration.bsu.ge/Registration-2.php და ელექტრონული პლატფორმა eflow-ს მეშვეობით, მოწვეული მასწავლებლებისთვის - ელ.ფოსტაზე chancellery@bsu.edu.ge;
   ბ) საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება - 2022 წლის 11 ნოემბერი, 15:00-18:00 საათი;
   გ) გასაუბრება კონკურსანტებთან - 2022 წლის 14 ნოემბერი.
   დ) კონკურსანტთა საბუთების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტში არაუგვიანეს 15 ნოემბრისა.
2. დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით **საკონკურსო კომისიის ძირითადი შემადგენლობა:**

ა) მერაბ ხალვაში - რექტორი (თავმჯდომარე);

ბ) ანზორ ბერიძე -რექტორის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე);

გ) თამარ სირაძე -რექტორის მოადგილე;

დ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ე) გიორგი თავამაიშვილი - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი ;

ვ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (მდივანი);

3. კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით'' და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.
4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს - ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.
6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**